სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

23 თებერვალი 2024

N 113/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

„მცხეთის მუნიციპალიტეტში, მისაქციელის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, სოფ ნატახტრის მიმდებარედ, წელიწადში 320 000 მ³ მოცულობის მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 2 ნოემბრის №607/ს ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 2 ნოემბრის №607/ს ბრძანებით მცხეთის მუნიციპალიტეტში, მისაქციელის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, სოფ ნატახტრის მიმდებარედ, წელიწადში 320 000 მ³ მოცულობის მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით მოპოვებაზე გაცემულია სკრინინგის გადაწყვეტილება.

2024 წლის 20 თებერვალს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ წარმოდგენილი იქნა №22/1093 განცხადება (სააგენტოში რეგისტრაციით №1844), რომლის თანახმად, კომპანიის განცხადების საფუძველზე მოხდა მოთხოვნილი რესურსის (მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება წელიწადში 320 000 მ³) დაკორექტირება და მოსაპოვებელი რესურსის ოდენობად განისაზღვრა 340 000 მ³. აღნიშნულის გათვალისწინებით, სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს განცხადებით მოთხოვნილია სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 2 ნოემბრის №607/ს ბრძანებით გაცემული სკრინინგის გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს №22/1093 განცხადების (სააგენტოში რეგისტრაციით №1844) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მცხეთის მუნიციპალიტეტში, მისაქციელის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, სოფ ნატახტრის მიმდებარედ, წელიწადში 320 000 მ³ მოცულობის მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ 2023 წლის 2 ნოემბრის №607/ს ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოს, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო